



# evqaristiis liturgia

(შედგენილია მთავარეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის მიერ  
იოანე ოქროპირის, შოთა რუსთაველის და ჯალა ლედინ რუმის და დონალდ რივის შთაგონებით)  
(The liturgy is composed by The Most Revd Malkhaz Songulashvili inspired by John Chrysostom, Shota Rustaveli,  
Mewlana Jalaluddin Rumi and Donald Rives)

**გუნდი:** შესავლის გალობა

**მწირველი:**

ღმერთო, მოწყალეო და მწყალობელო, ღმერთო მშვენიერებისა და სიყვარულისაო, დაგვენახე ამ ლიტურგიაში ყველას, ვინც შენს სახელს მოვუხმობთ ახლა. გამოგვისყიდე ჩვენი დანაშაულის სირცხვილისაგან. მიიღე ჩემი ცოდვილი ხელიდან ეს საკმეველი, როგორც შენ ღებულობდი მადლიერებისა და ვედრების ლოცვას ყველა შენი შვილისაგან თაობიდან თაობამდე.

როგორც ეს საკმეველი აღევლინება შენს წინაშე, ღმერთო, და აღავსებს აქაურობას კეთილსურნელებით, ასევე აღავსე თითოეული ჩვენგანის გული, გონება და სული შენი მხოლოდშობილი ძის, იესო ქრისტეს შემეცნების კეთილსურნელებით.

**აღსარება**

ღმერთო ყოვლადძლიერო და მოწყალეო, ვაღიარებთ შენს წინაშე ჩვენს ცოდვებს: ფიქრით, სიტყვითა და საქმით ჩადენილს. ვაღიარებთ, რომ ვერ შეგვიყვარეთ ისე, როგორც შენ შეგვიყვარე. ვერც მტერი შეგვიყვარეთ და ვერც მოყვარე ისე, როგორც შენს შვილებს შეჰყვარეთ.

უფალო გვაპატიე ცოდვები, რომელსაც ყველა ხედავს.  
უფალო გვაპატიე ცოდვები, რომელსაც ჩვენს მეტი ვერავინ ხედავს.  
უფალო გვაპატიე ცოდვები, რომელსაც მხოლოდ შენ ხედავ.

**დიაკვანი:** ამინ!

**Choir:** Opening Song

**Celebrant:**

God of compassion and mercy, God of beauty and love, show yourself to the faithful who call upon your name. Accept from my sinful hands this frankincense as you used to accept prayers and supplications from all your children, from generation to generation.

As this incense is rising before you God and fills up this room with sweet smell, so fill our hart, mind and soul with the fragrance of the knowledge of your Son Jesus Christ, our Lord.

**Confession**

Almighty God, we confess before you all the sins we have committed by thoughts, words and deeds. We confess that we have failed to love you the way you love us. We have failed to love both neighbors and enemies the way your children should love.

Forgive us the sins that everybody sees.

Forgive us the sins that nobody sees apart from us.

Forgive us sins that only you can see.

**Deacon:** Amen!

## შენდობის გამოცხადება

### მწირველი:

ყოვლადძლიერმა ღმერთმა, რომელიც პატიობს ყველა გულწრფელად მონანულს, შეგინდოთ და გაპატიოთ თქვენი ცოდვა და დანაშაული.

**დიაკვანი:** ამინ!

### მწირველი:

ხელმწიფებით, რომელსაც ღმერთი აძლევს თავის ეკლესიას, ყველას გიცხადებთ: თქვენი ცოდვები შენდობილია, თქვენი დანაშაული წარხოცილია, თქვენ თავისუფლები ხართ სიცოცხლისათვის და სიყვარულისათვის ქრისტე იესოში.

**დიაკვანი:** დიდება უფალს!

## სიტყვის ლიტურგია

### ევქარისტული ლიტურგია

### მწირველი:

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული მამისა და თანაზიარება სულისა წმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან.

**დიაკვანი:** და ასევე შენთან.

**მწირველი:** მოდით შევმართოთ გულები უფლისა მიმართ!

**დიაკვანი:** აჰა, შევმართავთ ჩვენს გულებს.

**მწირველი:** მოდით მადლი შევწიროთ უფალს, ჩვენს ღმერთს.

### დიაკვანი:

მართლაც ჯერ არს, რათა თაყვანი ვცეთ მამას, ძეს და სულიწმიდას, ყოვლადწმინდა სამებას – ერთარსსა და განუყოფელს.

## Absolution

### Celebrant:

Almighty God, who pardons all who truly repents, pardon and deliver you from all your sins and guilt.

**Deacon:** Amin

### Celebrant:

By the authority that God grants His/Her church I declare to you: Your sins are forgiven, Your guilt is wiped out. You are free to live and love in Jesus Christ.

**Deacon:** Glory be to God

## Liturgy of Word

### Eucharist Prayer

### Celebrant:

The Grace of our Lord Jesus Christ and the Love of God the Father and the Communion of the Holy Spirit be with you all.

**Congregation:** And with your Spirit

**Celebrant:** Let us lift our hearts.

**Congregation:** We lift them to the Lord.

**Celebrant:** Let us give thanks to our Lord.

### Congregation:

It is right indeed to worship Father, Son and Holy Spirit: the Most Holy Trinity, one in Essence and undivided.

**მწირველი:**

დიახაც ჯერ არს, რომ გიგალობით შენ, ღმერთო ერთო, რომელმან შექმენ სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ჰყავენ, ზეცით მონაბერითა, ჩვენ ყველას მოგვეც ქვეყანა, გვაქვს უთვალავის ფერითა, შენგან არს ყველა სულდგმული სახითა შენმიერითა.

ჰე ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა, შენ დაგვიფარე, ძლევა გვეც დათრგუნვად ჩვენ სატანისა! მოგვეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა, ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ღამეო მზიანო და ნათელო ბნელში მანათობელო; სულო წმიდაო, სულო მანუგეშებელო და მეოხო ჩვენო.

მადლს გწირავთ ამ ლიტურგიისათვის, რომელსაც ჩვენი გულითა და გონებით შენ გიძღვნი. ამიტომ ჩვენ მთავარ-ანგელოზებთან და ანგელოზებთან ერთად, ქერუბიმებთან და სერაფიმებთან ერთად, ცის მთელ მხედრობასთან ერთად ვგალობთ, ვღაღადებთ საზეიმო ზეციურ საგალობელს და ვამბობთ:

**ყველა:**

წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ღმერთი ძალთა და ხელმწიფებათა, კურთხეულია უფლის სახელით მომავალი, ოსანა მაღალთა შინა.

**მწირველი:**

ყველა ამ ძალასთან ერთად, ო, უფალო, ჩვენც ვღაღადებთ და ვამბობთ: წმიდა ხარ შენ ღმერთო, ყოვლად წმიდა და დიდებულია სახელი შენი, რომელმაც ისე შეიყვარე ეს წუთისოფელი, რომ მიეცი შენი მხოლოდშობილი ძე, რათა ყველა მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

ჩვენმა უფალმა იესომ იმ ღამეს, როდესაც გაცემულ იქნა წუთისოფლის სიცოცხლისათვის, აიღო პური, თავისი წმიდა და უმანკო ხელით, მადლი შესწირა, აკურთხა და გატეხა იგი, მერე მისცა თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: მიიღეთ, ჭამეთ, ეს არის ჩემი სხეული თქვენთვის დამტკვრეული ცოდვათა მისატყვევლად.

**ღიაკვანი: ამინ!**

**Celebrant:**

It is right to hymn you, who the firmament by Your power and might created, caused your creatures to breathe with a spirit from on high, earth with its myriad forms assigned to us humans for our dwelling.

O God, who art One, who giv'st to each shape each showing. Be Though my defender: Shield me, grant me the power Satan to vanquish, love's desire until death to cherish; Lighten for us our load of sins in the final hour.

You, who art Sunny night and the light who shines in the darkness; Holy Spirit, Spirit of Comfort and Paraklite.

We give thanks to you for this liturgy, which we offer you from our hearts and minds. Therefore, with thousands of archangels and tens of thousands of angels, the cherubim and seraphim and all the company of heaven we are singing, crying and shouting the triumphal and celestial hymn and saying:

**Congregation:**

Holy, Holy, Holy, the Lord God Almighty, heaven and earth are full of your glory. Hosanna in the highest. Blessed is He who comes in the name of the Lord. Hosanna in the highest

**Celebrant:**

With all these powers, o Lord, we also cry aloud and say: Holy, are you, God, and all holy and magnificent is your glory; who so loved your world, as to gave your only begotten Son that all who believe in him should not perish but have eternal life;

In the night in which he was betrayed for the life of the world, He took bread in his holy, pure and blameless hands and when he gave thanks and sanctified and broke it, he gave it to his disciples and apostles saying: Take, eat this is my body which is broken for, you, for the remission of sins.

**Congregation: Amen.**

**მწირველი:**

ასევე, სერობის შემდეგ, აიღო სასმისი და თქვა: ყველამ შესვით აქედან. ეს სასმისი ახალი აღთქმაა ჩემს სისხლში, რომელიც დაითხევა თქვენთვის და მრავალთათვის ცოდვათა მისატევებლად.

**დიაკვანი: ამინ!**

**მწირველი:**

ამიტომ ვიხსენებთ ამ შენს მცნებას და ყოველივე იმას, რაც შენ მოიმოქმედე ჩვენს გამო. ვიხსენებთ: ჯვარს, საფლავს, მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომას, ზეცად ამაღლებას, მამის მარჯვენით ჯდომას. მეორედ მოსვლის სასოებას და მაღლს გწირავთ ამისთვის.

**დიაკვანი:**

ჩვენ გიგალობთ შენ, ჩვენ გაკურთხებთ შენ, ჩვენ მაღლს გწირავთ შენ, უფალო ჩვენო, გვედრებით და თაყვანსა გცემთ, ღმერთო ჩვენო.

**მწირველი**

გვედრებით, გააჯებით და გემუდარებით: გარდმოავლინე შენი სულიწმიდა ჩვენზე და ამ ძღვენზე, რათა იგი იყოს ჩვენთვის შენი რჩეული შვილის, იესო ქრისტეს დამტკრეული სხეული და დაღვრილი სისხლი.

**დიაკვანი: ამინ!**

**მწირველი:**

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სხეული ჩვენთვის დაილეწა.

ჩვენ ვტყვით ამ პურს ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ღმერთი უყვარს. ვინც სხვადასხვა რელიგიებში, თუ იუდაიზმში, თუ ქრისტიანობაში, თუ ისლამში ან სხვაგან- ემსახურება ღმერთს... რათა ერთ დღესაც ჩვენ ყველანი ერთნი ვიყოთ.

**დიაკვანი: ამინ!**

**მნათე: ზარი!**

**გუნდი: „კირიე ელეისონ“**

ჩვენ ვტყვით ამ პურს ღვთის მიერ შექმნილი მთელი სამყაროსათვის, რომელიც ერთთავად გმინავს და იტანჯება. ამ ჩვენი მწვანე დედამიწისათვის და მისი ბინადრებისათვის, ადამიანებისათვის, ცხოველ-ფრინველებისათვის, ყველა ცოცხალი არსებისათვის და ასევე განადგურებული ბუნებისათვის, დაბინძურებული ჰაერისა და წყლისათვის, გაჩანაგებული ტყეებისათვის, რათა ერთ დღესაც ღვთის მიერ შექმნილი სამყარო აღდგენილ იქნეს.

**Celebrant:**

In the same way, after the supper, he took the cup saying: Drink from this, all of you; this is my blood of the New Covenant, which is shed for you and for many for the remission of sins.

**Congregation: Amen**

**Celebrant:**

Remembering therefore this commandment of yours and all those things that have come to pass for our sake: The cross, the tomb, the resurrection on the third day, the ascension into heaven, the sitting at the right hand, and the second coming, o Lord we give you thanks.

**Congregation:**

We sing to you, we bless you; we give you thanks to you, o Lord, and pray to you, our God.

**Celebrant:**

We ask you, we pray and we implore you: send down your Holy Spirit upon us and upon us and these gifts to be for us the body and blood of our Lord Jesus Christ.

**Congregation: Amen**

**Celebrant:**

The body of our Lord Jesus Christ was broken for us.

We break this bread for those who love God, for those who follow the path of Islam, Judaism, Buddhism or any other faith traditions, so that one day we may be as one.

**Deacon: Amin**

**Sub-deacon: Bell tolling!**

**Choir: “Kyrie eleison”**

We break this bread for all of creation which groans with pain, like the pain of childbirth: our green earth and all its inhabitants – human beings, animals, birds and all the living creatures, - and also for destroyed forests, fields and flowers, contaminated waters and air, that one day God’s creation will be restored.



**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

ჩვენ ვტყებით ამ პურს მათთვის, ვისაც ლუკმა პური ენატრება, მშიერთათვის, უსახლკართათვის, ლტოლვილთათვის და მიუსაფართათვის, რათა ერთ დღესაც ყველას ჰქონდეს ჭერი და საზრდო ამ დედამიწაზე.

**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

ჩვენ ვტყებით ამ პურს ჩვენი დაჭრილი გულებისათვის, ბავშვობის დროინდელი ტკივილებისათვის, მოუშუმებელი იარებისათვის, რათა ერთ დღესაც სიმრთელე და სიხარული ვპოვოთ ქრისტეში.

**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

**მწირველი:**

ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სისხლი ჩვენთვის დაიღვარა.

ჩვენ შევმართავთ ამ ბარძიმს მათთვის, ვინც დეპრესიასა და სასოწარკვეთილებაშია, ვისაც ეჭვი, შიში და დანაშაულის გრძნობა ტანჯავს, რათა ერთ დღესაც მათ შვება ჰპოვონ ქრისტეში.

**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

ჩვენ შევმართავთ ამ ბარძიმს მათთვის, ვინც ყველსაგან მივიწყებულია, ვის თვალზეც ცრემლი არ შრება და ვისთვისაც არავინ ლოცულობს, რათა ერთ დღესაც მათ ბედნიერება ჰპოვონ ქრისტეში.

**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

ჩვენ შევმართავთ ამ ბარძიმს უსამართლოდ დევნილთათვის, სინდისისა და რწმენის პატიმართათვის, სხვადასვა ნიშნით ჩაგრული უმციესობებისათვის, რათა ერთ დღესაც ჩაგრულს ნუგეში მისცეს უფალმა, ხოლო მჩაგვრელს ქვის გული ამოუღოს და ადამიანისა უბოძოს.

**დიაკვანი:** ამინ!  
**მნათე:** ზარი!  
**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

We break this bread for those who have no bread, the starving, the homeless and the refugees, that one day this planet may be a home for everyone.

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

We break this bread for the broken hearts of ourselves, the wounded child in all of us, for our broken relationships, that one day we may glimpse the wholeness that is of Christ.

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

**Celebrant:**

Blood of our Lord Jesus Christ as shed for us.

We raise this cup for the depressed, for the hopeless, and those who are tormented by fear and guilt, that one day they find comfort in Christ.

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

We raise this cup for those who are forgotten, the crying and for those nobody prays for, so that one day they find happiness in Christ

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

We raise this cup for the persecuted, prisoners of conscience and faith, for all the marginalized minorities, so that one day God comforts the persecuted and the heart of stone from the persecutors and gives the human heart.

**Deacon:** Amin  
**Sub-deacon:** Bell tolling!  
**Choir:** “Kyrie eleison”

ჩვენ შევმართავთ ამ ბარძიმს ომითა და სისხლისღვრით გატანჯული ადამიანებისათვის, რათა ერთ დღესაც მათ მშვიდობა და სამართლიანობა იზეიმონ.

**დიაკვანი:** ამინ!

**მნათე:** ზარი!

**გუნდი:** „კირიე ელეისონ“

**მწირველი:**

ახლა, როდესაც წმიდა ზიარებას ვატარებთ (ვზეიმობთ), ჩვენ ვიხსენებთ მათ ვინც ჩვენამდე იყო: რომელთაც გაიარეს თავისი სარბიელი და რწმენით დაივანეს სიმშვიდეში.

**დიაკვანი:**

მადლი შეიწირე უფალო მათი სიცოცხლისათვის და კეთილი მაგალითისათვის.

## ზიარების წინ

**მწირველი:**

მადლს გწირავთ, უფალო, რომ შენ უღირსები ღირსი გაგვხადე, რათა ცისა და მიწის შემოქმედს მამა გიწოდოთ და ერთად ვთქვათ:

**გუნდი:**

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა. და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

**მწირველი:**

რადგან შენია ძალი, სახელი და დიდება მამაო, ძეო, და სულოწმიდაო, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**დიაკვანი:** ამინ!

**მწირველი:**

ახლა მოდით ყველანი და ეზიარეთ ამ პურსა და ღვინოს მადლიერებით, როგორც მაცხოვრის მოწაფეები და გახსოვდეთ, რომ ჩვენი უფლის სხეული ჩვენთვის დაილეწა, ჩვენი უფლის სისხლი ჩვენთვის დაიღვარა გოლგოთაზე.

We raise this cup for the suffering of wars and bloodshed, that one day they celebrate peace and justice.

**Deacon:** Amin

**Sub-deacon:** Bell tolling!

**Choir:** “Kyrie eleison”

**Celebrant:**

As we celebrate this Holy Communion, we remember those, who have gone to their peace in faith.

**Deacon:**

We thank you for their lives and example.

## Before the Communion

**Celebrant:**

We thank you, o Lord, for counting us worthy to call upon you, the God of Heaven and Earth, as Father, and say:

**Congregation:**

Our Father who art in heaven, hallowed be thy name, thy kingdom come, thy will be done on earth as it is in heaven. Give us this day our daily bread and forgive us our trespasses as we forgive those who trespass against us and lead us not into temptation, but deliver us from evil.

**Celebrant:**

For thine is the kingdom the power and the glory of the Father and of the Son and of the Holy Spirit, now and forever and to ages of ages.

**Congregation:** Amen

**Celebrant:**

With reverence to God, with faith and with love to the neighbor, braw near and receive this bread and wine as Disciples of Christ, remembering that the body of our Lord was broken for us, and the blood of our Lord was shed for us on the Calvary.

„მოდის, მოდი, ვინც არ უნდა იყო. გინდა მოხეტიალე იყავი, გინდა მლოცველი, გინდა მაწანწალა. არა აქვს ამას მნიშვნელობა. ამ ჩვენს ქარავანში უსასობას არ აქვს ადგილი. მოდი, თუნდაც ათასჯერ გქონდეს შენი აღთქმა გატეხილი. მოდი, კიდევ ერთხელ მოდი, მოდი“ უფალთან. (ჯ. მ. რ.)

### **ზიარების დარიგება**

**გალობა:** „ქრისტე გამიხსენე“

**ლოცვა ზიარების შემდგომ**

### **მწირველი:**

მადლს გწირავთ შენ, ადამიანის მოყვარულ ღმერთო, რომ ღირსი გაგვხადე ამ წმიდა ზიარებისა. დაგვლოცე და გვიმფარველე, რადგან შენში განვიწმიდებით და შენ შეგასხამთ ხოტბას ერთო ღმერთო, ყოვლადწმიდაო სამებაო: მამაო, ძეო და სულიო წმიდაო.

**დიაკვანი: ამინ!**

### **მწირველი:**

უფალო, დალოცე ყველა შენს სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი. აკურთხე ყველი შენი მოსავი და მადიდებელი. დალოცე ყველა, ვისაც შენი მშვენიერება ხიბლავს და უყვარს. ნუ მიატოვებ შენზე მონდობილს.

### **დიაკვანი:**

მშვიდობა მოჰმადლე მთელს მსოფლიოს და მის თითოეულ მკვიდრს, ყველა ქვრივსა და ობოლს, ღარიბ-ღატაკსა და სნეულს, მშიერსა და მწყურვალს, პატიმარსა და ლტოლვილს, ყველა გარიყულსა და მიუსაფარს. რადგან ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი შენგან გარდამოდის, ნათელთა მამაო. შენ გადიდებთ და თავყანსა გცემთ ერთო ღმერთო, მამაო ძეო და სულიო წმიდაო.

**დიაკვანი: ამინ.**

### **კურთხევა**

**დიაკვანი:** უფალმა გვიწინამძღოლოს მთელი ცხოვრების მანძილზე. შეგვაძლებინოს გავაგრძელოთ ღვთისმსახურება ღვთისმსახურების შემდეგ. ღირსო დაო (ძმაო) დაგვლოცე.

### **მწირველი:**

უფალმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ, თავისი ნათელი სახე მოგაფინოთ და მოგცეთ მშვიდობა. წადით და ემსახურეთ ღმერთსა და მოყვასს.

Come, Come, Whoever You Are, Wonderer, worshipper, lover of leaving. It doesn't matter.

Ours is not a caravan of despair. Come, even if you have broken your vow a thousand times. Come, yet again, come, come to the Lord.

### **Distribution of Communion**

Choir: „Jesus remember me“

### **Prayer after the Communion**

### **Celebrant:**

We thank you o Lord, who loves humankind, for counting us worthy to participate in your Holy Communion. Bless and protect us, for we are cleansed in you and to you we worship One God, Father, Son and Holy Spirit.

**Deacon:** Amin!

### **Celebrant:**

Lord bless who have been created in your image and likeness, Bless your faithful and worshipers who love your beauty. Do not forget who have their trust in you.

### **Deacon:**

Grant your Peace to entire world and its inhabitants \_ the orphans and widows, the poor and sick, the hungry and thirsty, prisoners and refugees, the side-lined shelterless, for all good and perfect gifts come from you, Father of the Light. We praise and worship you One God, Father, Son and Holy Spirit.

**Deacon:** Amen!

### **Benediction**

**Deacon:** May God guide us through our lives and help us to celebrated liturgy after the liturgy. Reverend Sister, give us the blessing.

### **Celebrant:**

The Lord bless you and keep you;  
The Lord make his face to shine upon you and be gracious to you;  
The Lord lift up his countenance upon you and give you peace.  
Go to serve God and fellow human beings.